ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა.

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა ჯგუფის საქმიანობაზე მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა. ხელმძღვანელობამ მიმოიხილა, როგორც ბაზრის და ბიზნესის რისკი. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე ჯგუფს არ აქვს მოლოდინი ისეთი მნიშვნელოვანი რისკების, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ჯგუფის ფუნქციონირებადობაზე,

ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში

შვილობილი კომპანია არის პირი რომელზეც კომპანიას გააჩნია კონტროლი. კონტროლი მიიღწევა, როდესაც ინვესტორი მონაწილეობს ან აქვს უფლებები ინვესტირების ობიექტში ჩართულობიდან მისაღებ უკუგებაზე და უნარი. გამოიყენოს ინვესტირების ობიექტზე ფლობილი ძალაუფლება უკუგებაზე ზემოქმედების მიზნით.

წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიციები შვილობილ საწარმოში აღრიცხულია თვითღირებულებით, იმ შენატანით რაც განხორციელებულია შვილობილი საწარმოს კაპიტალში. შვილობილი საწარმოდან მიღებული დივიდენდები მოგებაში ან ზარალში აღირიცხება, როდესაც დივიდენდის მიღების უფლება დადგენილია.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

მეკავშირე საწარმო ისეთი საწარმოა, რომელზეც ჯგუფს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა. მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს ინვესტორის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას, რაც არ გულისხმობს ამ პოლიტიკაზე ინვესტორის კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას. მნიშვნელოვანი გავლენის განსაზღვრაში გამოყენებული მოსაზრებები შეესაბამება შვილობილ კომპანიებზე კონტროლის განსაზღვრისთვის საჭირო მოსაზრებებს. კომპანიის ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში აღირიცხება კაპიტალ-მეთოდით.

კაპიტალ-მეთოდის ფარგლებში, ერთობლივ საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია თავდაპირველად თვითღირებულებით აღირიცხება. ინვესტიციის საბალანსო ღირებულება კორექტირდება, რომ ასახოს მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივ საწარმოში კომპანიის მიერ ფლობილ ნეტო აქტივებში შეძენის თარიღიდან მომხდარი ცვლილებები.

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ასახავს მეკავშირე საწარმოს ოპერაციების შედეგებში კომპანიის წილს. ამგვარი საინვესტიციო ობიექტების სხვა სრულ შემოსავალში ნებისმიერი ცვლილება წარმოდგენილია კომპანიის სხვა სრული შემოსავლის ნაწილის სახით. ამასთან, როდესაც მეკავშირე საწარმოს კაპიტალში პირდაპირ არის აღიარებული ცვლილება, ჯგუფი ნებისმიერ ცვლილებაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მის წილს აღიარებს კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში. კომპანიის და მეკავშირე საწარმოს შორის ოპერაციებიდან მიღებული არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აღმოიფხვრება, მეკავშირე საწარმოში კომპანიის წილის შესაბამისად.

მეკავშირე საწარმოში ჯგუფის მოგების ან ზარალის წილის მთლიანი თანხა ნაჩვენებია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგების გარეთ და ის წარმოადგენს მოგებას ან ზარალს გადასახადით დაბეგრის შემდეგ და არასაკონტროლო წილს მეკავშირე საწარმოს შვილობილ კომპანიებში.

მეკავშირე საწარმოს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია იგივე საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც წარმოდგენილია კომპანიის ანგარიშგებებში. საჭიროების შემთხვევაში კეთდება კორექტირებები სააღრიცხვო პოლიტიკების კომპანიის პოლიტიკებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

შპს შარმ ტრედიინგი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში (გაგრძელება)

კაპიტალ-მეთოდის გამოყენების შემდეგ, ჯგუფი განსაზღვრავს საჭიროა თუ არა გაუფასურების ზარალის აღიარება მის მეკავშირე საწარმოში არსებულ ინვესტიციაზე. თითოეულ საანგარიშგებო თარიღში, ჯგუფი განსაზღვრავს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია გაუფასურებულია. თუ არსებობს ამგვარი მტკიცებულება, ჯგუფი გაუფასურების ოდენობას ანგარიშობს მეკავშირე საწარმოს ანაზღაურებად ღირებულებასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის განსხვავების სახით და შემდეგ ზარალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში მეკავშირე საწარმოს მოგების წილში.

მეკავშირე საწარმოზე მნიშვნელოვანი გავლენის დაკარგვის შემთხვევაში, ჯგუფი ახდენს გაუნაწილებელი ინვესტიციის შეფასებას და აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. მნიშვნელოვანი გავლენის დაკარგვის მომენტისთვის მეკავშირე საწარმოს საბალანსო ღირებულებასა და გაუნაწილებელი ინვესტიციისა და გასვლის შემოსავლის სამართლიან ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ითვალისწინებს კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების მიერ კონტროლირებადი კომპანიისა და ორგანიზაციების (მათ შორის, სტრუქტურული ერთეულების) ფინანსურ ანგარიშგებას. კონტროლი მიღწეულია, როდესაც კომპანიას:

- აქვს ძალაუფლება მეორე კომპანიაზე;
- აქვს უფლება ცვალებად შემოსავლებზე მისი ჩართულობიდან გამომდინარე მეორე კომპანიაში; და
- აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს ძალა, რომ გავლენა მოახდინოს შემოსავლებზე

კომპანია მუდმივად აფასებს, რამდენად აკონტროლებს მეორე კომპანიას და თუ ახალი გარემოებები მიუთითებს, რომ შეიცვალა ერთი ან რამდენიმე კონტროლის გამომწვევი ელემენტი, რომლებიც ნახსენებია ზემოთ.

როდესაც კომპანია არ ფლობს ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობას ინვესტიციის ობიექტში, მას აქვს უფლებამოსილება ინვესტიციის ობიექტზე იმ შემთხვევაში, როდესაც ხმის უფლება საკმარისია იმისთვის, რომ მისცეს მას პრაქტიკული შესაძლებლობა, განკარგოს ინვესტიციის ობიექტის ცალკეული საქმიანობა ცალმხრივად. კომპანია განიხილავს ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებებს, იმისათვის, რათა შეაფასოს არის თუ არა მისი ხმის უფლება საკმარისი შესაბამისი უფლებამოსილების, მათ შორის, შემდეგის მისაგებად:

- კომპანიის მფლობელობაში არსებული ხმის უფლებების მოცულობა სხვა აქციონერების ხმის უფლებების მოცულობასთან და განაწილებასთან შედარებით;
- კომპანიის, ხმის უფლების მქონე აქციების მფლობელი სხვა კომპანიების ან სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა საკონტრაქტო გარიგებიდან წარმოქმნილი უფლებები; და
- რაიმე დამატებითი ფაქტები და გარემოებები, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ კომპანიას აქვს ან არ აქვს შესაბამისი პროცესების წარმართვის უნარი გადაწყვეტილებების მიღებისას, მათ შორის წინა აქციონერთა კრებებზე დაფიქსირებული ხმათა გადანაწილებები.

შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია იწყება, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე და წყდება, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გათავისუფლებული დამფინანსებლის შემოსავლები და ხარჯები შეტანილია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ დღიდან, როდესაც კომპანიამ მოიპოვა კონტროლი შვილობილ კომპანიაზე და წყდება იმ დღიდან, როდესაც კომპანიამ დაკარგა კონტროლი შვილობილ კომპანიაზე.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება კომპანიის მფლობელებსა და არა მაკონტროლებელი წილის მფლობელებს. კომპანიის შვილობილი კომპანიების შემოსავალი მიეკუთვნება კომპანიის მფლობელებსა და არა მაკონტროლებელი წილის მფლობელებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არა მაკონტროლებელი წილის მფლობელებს აქვთ საბალანსო დეფიციტი.

საჭიროების შემთხვევაში, კორექტირებები შედის შვილობილთა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, რათა თავიანთი საბუღალტრო პოლიტიკა შესაბამისობაში იყოს ჯგუფის საბუღალტრო პოლიტიკასთან.

ყველა ჯგუფის შიდა აქტივები, ვალდებულებები, კაპიტალი, შემოსავლები, ხარჯები და ფულის ნაკადის მოძრაობები ჯგუფის წევრ კომპანიებს შორის მთლიანად ელიმინირდება კონსოლიდაციისას.

შპს შარმ ტრედიდინგი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

უცხოური ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები ჯგუფის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ლარი/1 აშშ დოლარი	2.7020	3.0976
ლარი/1 ევრო	2.8844	3.5040

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი პირობები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ჯგუფის ყველა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით (გარიგების პირდაპირი დანახარჯების გამოკლებით, თუ ამგვარს ადგილი აქვს) და შემდგომში წარდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კონტრაქტის მიხედვით მისაღები ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელებზე. ჯგუფის ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა:

- ფინანსურ აქტივს ჯგუფი ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება შემდგომი შეფასება. შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:
 - ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები
 - სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
 - რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
 - რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან.

შპს შარმ ტრედიინგი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის

ფინანსური აქტივების გაუფასურება. ჯგუფი აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე ვადადამდგარ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის ჯგუფი, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოების დისკონტირებით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება ორ ეტაპზე. კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოთხოვნილია ზარალის რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია დარჩენილ ვადაზე, გადაუხდელობის ვადის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. სავაჭრო მოთხოვნებისათვის ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, ჯგუფი ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. ჯგუფმა შეადგინა რეზერვების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება

ჯგუფი ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) ჯგუფმა გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (i) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (ii) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების გარეშე არა დაკავშირებულ მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება

ჯგუფი ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდ წილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

შპს შარმ ტრედიინგი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელზეც ჯგუფმა გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფის ბალანსზე არ არის იდენტიფიცირებული უიმედო ვალები და მიმდინარე მოთხოვნების ვადაგადაცილებული დავალიანება რადგან ისინი ჩამოწერილია ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისად და მიმდინარე მოთხოვნები ასახულია რეალური ღირებულებით.

ჯგუფის მენეჯმენტი ახორციელებს პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებების ანალიზს და მის შესაბამის დარეზერვებას.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება FIFO ღირებულების მეთოდით.

მარაგები აღირიცხება ღირებულების ან წმინდა სარეალიზაციო ღირებულებიდან უმცირესით. მარაგების თვითღირებულების ხარჯი ღგინდება FIFO მეთოდის საფუძველზე და მოიცავს მარაგების შეძენისა და მიმდინარე ადგილას გადატანისა და არსებულ მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მარაგების საპროგნოზო გასაყიდ ფასს, რომელსაც გამოკლებული აქვს მათი დასრულებისათვის საჭირო გაყიდვის ხარჯები.

ჯგუფის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების შინაარსიდან გამომდინარე ისინი არ შეიცავს არსებითი ღირებულების არა ბრუნვად მარაგებს, ამავდროულად ასეთი მარაგები საჭიროა გაყიდვების ციკლის უწყვეტად სამართავად. პერიოდის მარაგების ანარიცხები შედგება იმ დაზიანებული მარაგის ღირებულებისგან, რომელზეც ჯგუფი აღარ მოელოდა მის შემდგომ რეალიზაციას.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

შესრულებულ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაწეულ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშჟაქტურის მიღებისთანავე. მიღებული ავანსებზე გადასახდელი ვალდებულებები საგადასახადო ორგანოსთან დაბეგვრას ექვემდებარება თანხის ფაქტიურად მიღების დროს, რა დროსაც შესრულებულია საგადასახადო ვალდებულება და მასთან ერთად წარმოიქმნება აქტივი წინასწარ გადახდილი დამატებითი ღირებულების გადასახადის შესაბამისად. აღნიშნული აქტივი გამოყენებას ექვემდებარება ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების დროს წარმოქმნილი საგადასახადო ვალდებულების დროს, როდესაც მოხდება იმ მომსახურების მიწოდება, რომლის სანაცვლოდაც მიღებულია ავანსი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფი გარდა მიწისა აღირიცხულია თვითღირებულების მეთოდით. მიწის აღირიცხვა ხდება შეფასების მეთოდით. შეფასება განხორციელებულია დამოუკიდებელი შემფასებლის. ძირითადი საშუალების კაპიტალური რემონტის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ „ჯგუფი“ შედეგად მიიღებს თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ შესაძლებელია მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში-ზარალის ანგარიშგებაში.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ ნარჩენ ღირებულებაზე მათი ღირებულების განაწილებით:

- მენობა- ნაგებობა 20 წელი
- მანქანა-დანადგარები 5 წელი
- ავეჯი, ოფისის აღჭურვილობა 5 წელი
- ავტოსატრანსპორტო საშუალებები 5 წელი

ყოველი ფინანსური წლის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

შპს შარმ ტრედიინგი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და
ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. პერიოდის ბოლოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული არამატერიალური აქტივები მოიცავს საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებულ პროგრამულ უზრუნველყოფებს, რომელთა ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის მიხედვით 15%-იანი განაკვეთით.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ჯგუფის საკუთრებაში არსებული მიწა და შენობა ნაგებობები, რომელსაც ჯგუფი ფლობს საიჯარო შემოსავლების მისაღებად ან კაპიტალის გასაზრდელად ან ორივე ერთად და არ არის დაკავებული მის მიერ.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით და შემდგომ ხდება მისი შეფასება რეალური საბაზრო ღირებულებით, რათა ანგარიშგების ბოლო თარიღისათვის ასახავდეს რეალურ საბაზრო პირობებს.

ჯგუფი საინვესტიციო ქონების შეფასებისათვის იყენებს თვითღირებულების მეთოდს, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში გამჟღავნებულია მისი რეალური ღირებულება.

საიჯარო შემოსავლები ანგარიშგებაში ასახულია სხვა საოპერაციო შემოსავლებად, ხოლო საინვესტიციო ქონების შეფასებით მიღებული შედეგები წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წარდგენილია დამოუკიდებლად.

თუ საინვესტიციო ქონებას დაიკავეს მფლობელი, მისი რეკლასიფიცირება ხდება ძირითად საშუალებად, ხოლო ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება რეკლასიფიცირების თარიღში მისი ღირებულების შესაბამისად.

გადახდილი ავანსები

აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გაუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი ჯგუფი ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ ჯგუფი მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს ჯგუფის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (გამსესხებლისთვის გადასახდელი ფულის რაოდენობის მიმდინარე ღირებულება, გარიგების ხარჯების ჩათვლით). მიღებული სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და წარდგენილია ფინანსურ ხარჯებში.

სესხით მომსახურებაზე განხორციელებული გადახდები (საპროცენტო ხარჯი) აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდის დანახარჯზე რომელშიც მოხდა მისი გაწევა.

სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები თუ ჯგუფს არ აქვს უპირობო უფლება საანგარიშგებო თარიღის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადაავადოს ვალდებულება.

შპს შარმ ტრედიინგი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

საწესდებო კაპიტალი

მშობელი კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ მშობელი კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი ჯგუფის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა მშობელ კომპანიაზე მფლობელების მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა მშობელი კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო მშობელი კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

ლივიდენდები

ლივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული ლივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებითი შენიშვნაში.

შემოსავალი

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება „ჯგუფში“, ამასთან შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით ხორციელდება გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით და გადასახადების ან მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე უნდა დაკმაყოფილდეს აღიარების შემდეგი სპეციალური კრიტერიუმები:

საქონლის გაყიდვა - საქონლის გაყიდვის აღიარება ხდება მისი კონტრაგენტისათვის მიწოდებისთანავე, რაც ფიქსირდება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტით.

მომსახურების გაწევა - მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია და ანაზღაურების მიღების ალბათობა მაღალია.

თვითღირებულების ხარჯები

პერიოდის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს გაყიდული საქონლის თვითღირებულებას, რომელიც სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ჩამოწერილია FIFO მეთოდის გამოყენებით. ასევე მარაგებთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებს.

სადისტრიბუციო ხარჯები

სადისტრიბუციო ხარჯები მოიცავს გაყიდვებთან და მიწოდებასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს, როგორიცაა რეკლამის ხარჯი, საწვავის და მივლინების ხარჯი, სადისტრიბუციო ქსელში გამოყენებული ავტომობილების ცვეთის ხარჯებს და ხელფასის ხარჯს. ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოუქმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება ჯგუფის თანამშრომლების მიერ.

ხელფასის ხარჯი მოიცავს, როგორც ფიქსირებულ ასევე გამომუშავებულ ანაზღაურებას, რომლის კალკულაციაც ხორციელდება ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს.

შპს შარმ ტრედიდინგი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

უიმედო ვალების რეზერვი

ჯგუფი, კლიენტების გადახდისუნარიანობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსაღრიცხად, ქმნის რეზერვს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტ საიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს უიმედო ვალების რეზერვის მოდიფიცირება.

შესადარისი ინფორმაცია

მენეჯმენტი ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს განიხილავს წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას სტანდარტის მოთხოვნებთან. აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტირებულია შესადარისი ინფორმაცია, რაც გამოწვეულია გასულ საანგარიშო პერიოდებში შვილობილ საწარმოზე კონტროლის უფლების ანალიზით. მენეჯმენტმა იმსჯელა და დაადგინა რომ სს ლელო აკმაყოფილებს შვილობილ საწარმოს განმარტებას, რის გამოც 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში განხორციელდა მისი კონსოლიდაცია. ხოლო მისგან მიღებული შედეგები ასახულია ფინანსური ანგარიშგების შესადარისი პერიოდში.

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

2022 წელს მიღებულ იქნა შემდეგი ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები:

- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები3 ;
- ფასს 10 - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და ბასს 28 (ცვლილებები)4 ;
- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა (ცვლილებები)3 ;
- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (ცვლილებები)2 ;
- ბასს 16 - ძირითადი საშუალებები, (ცვლილებები)2 ;
- ბასს 37 - ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და აქტივები (ცვლილებები)2 ;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2018-2012 წწ. ციკლი (ცვლილებები - ფასს 1, ფასს 9, ფასს 16, ბასს 41)2 ;
- ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (ცვლილებები)3 ;
- ბასს 12 - მოგებიდან გადასახადები (ცვლილებები)3 .

1. ძალაშია 2021 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია;
2. ძალაშია 2022 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია;
3. ძალაშია 2023 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია;
4. სტანდარტების საბჭოს ძალაში შესვლის თარიღი ჯერ არ დაუდგენია; თუმცა, შესწორებათა ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

ზემოთ აღნიშნულ ცვლილებების მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე. მიმდინარე წელს ჯგუფმა გამოიყენა საბჭოს მიერ გაცემული ფასს სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში ქვემოთ მოყვანილი ცვლილებები, რომლებიც ძალაშია წლიური პერიოდისთვის, რომელიც იწყება 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ. მათ მიღებას არანაირი მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია ინფორმაციის გამჟღავნებაზე ან ამ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებზე.

შენიშვნა 3 - შემოსავალი რეალიზაციიდან

	2022	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	200,871	176,659
შემოსავალი იჯარიდან	10,744	5,521
სხვა შემოსავალი	1,756	1,298
გაყიდული საქონელის უკან დაბრუნება	(2,404)	(1,575)
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	210,967	181,903

შპს შარმ ტრედიდინგი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

შენიშვნა 4 - თვითღირებულების ხარჯები

	2022	2021
გაყიდული/შეძენილი საქონელი	139,812	135,417
შეძენილი საქონლის უკან დაბრუნება	(1,721)	(1,332)
შრომის ანაზღაურება	2,827	435
კომუნალური ხარჯები	293	274
პროგრამით საერგებლობის ხარჯები	87	97
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯები	528	617
დაცვის ხარჯები	67	63
გადაზიდვის ხარჯები	80	44
სხვა ხარჯები	27	27
სულ თვითღირებულების ხარჯები	141,998	135,642

შენიშვნა 5 - სადისტრიბუციო ხარჯები

	2022	2021
თანამშრომელთა ხელფასები	10,846	8,610
სარეკლამო ხარჯები	1,490	1,321
იჯარა	2,965	1,589
ტრანსპორტირების ხარჯები	209	771
მანქანის ტექ. მომსახურება	303	402
სხვა	1,285	732
სულ სადისტრიბუციო ხარჯები	17,098	13,425

შენიშვნა 6 - ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები

	2022	2021
თანამშრომელთა ხელფასები	5,245	6,580
დაზღვევის ხარჯები	597	500
უიმედო ვალების ანარიცხები	5,289	1,874
საიჯარო ქირა	179	1,353
კონსულტაცია და პროფესიული მომსახურება	2,740	1,703
ცვეთა და ამორტიზაცია	2,880	2,321
საბანკო ხარჯები	587	533
მივლინების ხარჯები	460	127
კომუნალური ხარჯები	3,783	2,649
საკანცელარიო ხარჯები	192	103
საკომუნიკაციო ხარჯები	145	120
რეგისტრაცია და ნებართვა	37	18
კორპორატიული ხარჯები	714	92
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	605	462
დაცვის ხარჯები	36	-
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	2,285	1,543
სულ ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	25,775	19,978

შპს შარმ ტრედიინგი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 7 - ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობები	მანქანები- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	მარკეტინგული აღჭურვილობა	სხვა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	2,432	2,577	5,405	2,054	4,901	412	1,056	18,838
დანამატები	-	66	416	311	840	38	-	1,670
გასხვისება და ჩამოწერა	-	-	(47)	(5)	(363)	(1)	-	(416)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	2,432	2,643	5,774	2,360	5,377	449	1,056	20,092
დანამატები	-	52	1,220	303	1,576	4	0	3,155
შვილობილი კომპანიის შეძენა	2,884	-	292	80	45	-	-	3,301
გასხვისება და ჩამოწერა	(0)	(1,047)	(2,887)	(77)	(204)	(1)	(797)	(5,273)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	5,316	1,648	4,399	2,665	6,794	452	259	21,275
დაგროვილი ცვეთა 2020 წლის 31 დეკემბერს	244	2,234	4,179	1,393	2,513	256	1,000	11,818
დარიცხვა წლის განმავლობაში	72	146	504	263	737	36	23	1,780
გასხვისება და ჩამოწერა	-	-	(47)	(1)	(265)	13	-	(300)
დაგროვილი ცვეთა 2021 წლის 31 დეკემბერს	316	2,380	4,636	1,654	2,985	306	1,022	13,299
დარიცხვა წლის განმავლობაში	72	122	474	271	994	14	41	1,988
გასხვისება და ჩამოწერა	0	(1,043)	(2,538)	(3)	(144)	-	(797)	(4,525)
დაგროვილი ცვეთა 2022 წლის 31 დეკემბერს	388	1,459	2,572	1,923	3,835	253	266	10,695
ბალანსი 31/12/2020	2,189	202	971	625	2,258	133	57	6,434
ბალანსი 31/12/2021	2,117	262	1,139	705	2,392	144	34	6,726
ბალანსი 31/12/2022	2,045	189	1,827	742	2,959	125	-	7,889

შპს შარმ ტრედიდინგი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	839
შემოსვლები	440
გასხვისება და ჩამოწერა	
ისტორიული ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	1,279
შემოსვლები	200
გასხვისება და ჩამოწერა	
ისტორიული ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	1,479
დაგროვილი ცვეთა 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	499
დარიცხვა წლის განმავლობაში	109
გასხვისება და ჩამოწერა	
დაგროვილი ცვეთა 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	596
დარიცხვა წლის განმავლობაში	146
გასხვისება და ჩამოწერა	
ნარჩენი ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	671
ნარჩენი ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	706

შენიშვნა 8 - საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია თვითღირებულებით რადგან ჯგუფის სადრიცხვო პოლიტიკით განსაზღვრულია საინვესტიციო ქონების აღრიცხვა თვითღირებულების მეთოდით. საკუთრებაში არსებული საინვესტიციო ქონების რეალური საბაზრო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 60,135 ლარს, საიდანაც მიწის ღირებულებაა 18,302 ლარი.

საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება 2020 წ	9,351
შემოსვლა	1,444
გასვლა	-
ცვეთა	(811)
წმინდა შემოსულობა ან ზარალი რეალური ღირებულების კორექტირებიდან	-
აქტივი გამოყენების უფლებით ღირებულების ცვლილება	-
საინვესტიციო ქონების საბოლოო საბალანსო ღირებულება 2021წ	9,984
შემოსვლა	5,554
გასვლა	-
ცვეთა	(801)
აქტივი გამოყენების უფლებით ღირებულების ცვლილება	-
საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება 2022 წ	14,737

შენიშვნა 9 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31.12.2022	31.12.2021
მზა საქონელი	35,142	25,310
საქონელი გზაში	2,216	2,184
სხვა მარაგები	118	99
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	37,476	27,593

შპს შარმ ტრედიდინგი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 10 - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო მოთხოვნები რეალიზაციიდან	47,769	39,424
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4,027	4,898
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	51,796	44,322
შემცირება : გაუფასურების ზარალი	(3,317)	(289)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	48,479	44,033

შენიშვნა 11 - გაცემული სესხები

ნაშთი 2020 წლის დასაწყისისთვის	9,660
გაცემა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში	2,902
დაფარვა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში	(7,425)
ნაშთი 2020 წლის ბოლოსთვის	5,137
გაცემა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში	1,527
გაუფასურების ანარიცხი	(1,800)
დაფარვა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში	(26)
ნაშთი 2021 წლის ბოლოსთვის	4,838
გაცემა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში	4,218
გაუფასურების ანარიცხი	(2,500)
დაფარვა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში	-
ნაშთი 2022 წლის ბოლოსთვის	6,556

შენიშვნა 12 - ფული და ფულადი ექვივალენტები

	31.12.2022	31.12.2021
ფული სალაროში	26	22
ფული ბანკში	28,157	10,609
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	28,183	10,631

შენიშვნა 13 - ინვესტიციები

	სს ლელო	სს ლილო 1	ჯამი
ნაშთი 2020 წლის ბოლოსთვის	4,426	7,283	7,283
საანგარიშგებო პერიოდის მოგების წილი	530	962	962
საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მიღებული დივიდენდი	(564)	-	-
ნაშთი 2021 წლის ბოლოსთვის	4,390	8,245	8,245
საანგარიშგებო პერიოდის მოგების წილი		610	610
საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მიღებული დივიდენდი		-	-
ნაშთი 2022 წლის ბოლოსთვის		8,855	8,855

შპს შარმ ტრედიდინგი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 14 - სესხები

	31.12.2022	31.12.2021
გრძელვადიანი სესხი კომერციულ ბანკებთან	11,694	8,141
მოკლევადიანი სესხი კომერციულ ბანკებთან	9,592	9,762
სულ სესხები	21,286	17,903

სესხის ვადიანობა

	31-დეკ-22	31-დეკ-21
გადასახდელია ერთ თვეში	183	254
გადასახდელია ერთიდან სამ თვეში	1,254	1,235
გადასახდელია სამიდან თორმეტ თვემდე ვადაში	8,155	8,273
გადასახდელია 1-5 წელში	11,694	8,141
სულ კრედიტები და სესხები	21,286	17,903

სესხების ცვლილება 2022 წლის და 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის იყო შემდეგი:

წმინდა დავალიანება 2021 წლის 1 იანვრისთვის	19,026
ძირის ათვისება	6,273
დარიცხული პროცენტი	1,487
გადახდილი ძირი	(7,401)
გადახდილი პროცენტი	(1,487)
სავალუტო კორექტირება	4
წმინდა დავალიანება 2021 წლის 31 დეკემბერს	17,903
ძირის ათვისება	29,724
დარიცხული პროცენტი	2,698
გადახდილი ძირი	(26,341)
გადახდილი პროცენტი	(2,698)
სავალუტო კორექტირება	-
წმინდა დავალიანება 2022 წლის 31 დეკემბერს	21,285

შენიშვნა 15 - სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2022	31.12.2021
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	33,614	23,560
მიღებული ავანსები	1,375	1,255
გადასახდელი ხელფასები	580	632
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	35,569	25,447

16. რისკის მართვა

ჯგუფის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ზარალის მიღების რისკი კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში. ჯგუფის აქტივები, პოტენციურად ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე ჯგუფმა დანაკარგების რეზერვის გამოსათვლელად გამოიყენა ფასს 9-ით გათვალისწინებული გამარტივებული მიდგომა. ჯგუფი ამ ერთეულებზე მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს აფასებს რეზერვების მატრიცით, რომელიც მიიღება ისტორიული საკრედიტო დანაკარგების გამოცდილებაზე დაყრდნობით, რაც, თავის მხრივ, ეფუძნება მსესხებლების ვადაგადაცილების სტატუსს და კორექტირებულია მსესხებელთა სპეციფიურ ფაქტორებზე, მსესხებლის დარგის ზოგად ეკონომიკურ პირობებსა და საანგარიშგებო თარიღში პირობების მიმდინარე და საპროგნოზო მიმართულებების შეფასებით. შესაბამისად, ამ აქტივების საკრედიტო რისკის პროფილი წარმოდგენილია რეზერვების მატრიცით ვადაგადაცილების სტატუსის საფუძველზე. რომელიც ნაჩვენებია შენიშვნა N9-ში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ჯგუფის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად. ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვალიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად ჯგუფი ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს. ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება ჯგუფის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება ჯგუფის საფინანსო განყოფილების მიერ. ჯგუფის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

ჯგუფის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს ჯგუფის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. ჯგუფი ესწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომელიც უმთავრესად შედგება საოპერაციო ფულადი ნაკადებისა და მომხმარებელთა წინასწარი გადახდებისაგან. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ვალდებულებები კონტრაქტების მიხედვით დარჩენილი გადახდის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადების ცხრილში მოცემული თანხები არის კონტრაქტით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები.

	ვალდებულება 1 თვემდე ვადაში	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31 დეკემბერი 2022 სულ
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,114	10,671	17,784.63	-	-	35,569
ნასესხები სახსრები	183	1,254	8,155	11,903	-	21,495
სულ ფინანსური ვალდებულებები	7,297	11,924.78	25,940	11,903	-	57,064

შპს შარმ ტრედიდინგი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

	ვალდებულება 1 თვემდე ვადაში	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31 დეკემბერი 2021 სულ
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	581	-	33,613.99	-	-	34,195
ნასესხები სახსრები	-	-	9,762	8,141	-	17,903
სულ ფინანსური ვალდებულებები	581	-	43,376	8,141	-	52,098

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიქმნება ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. საანგარიშო პერიოდში ჯგუფი ფლობს უცხოურ ვალუტაში არსებულ ვალდებულებებს და მიღებულ ავანსებს. ასევე ჯგუფი მიღებული საქონლის შესაბამისად ანგარიშსწორებას ახორციელებს უცხოურ ვალუტაში. მიუხედავად იმისა, რომ 2022 წელს დოლარის და ევროს გაცვლითი კურსის გამყარებამ ჯგუფში წარმოქმნა ფინანსური მოგება.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია ჯგუფის უცხოური ვალუტის გადაცვლის კურსის რისკი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს. ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ითვლება, რომ არაფულადი აქტივები არ შეიცავს რაიმე მნიშვნელოვან სავალუტო რისკს.

	31 დეკემბერი 2022		
	USD 1 = 2.7020 GEL	EUR 1 = 2.8844 GEL	AMD 1 = 0.0069 GEL
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	-	156	6,356
სავაჭრო მოთხოვნები	-	-	13,289
სულ ფინანსური აქტივები	0	156	19,970
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	14,228	17,785	2,049
სესხები	259		156
სულ ფინანსური ვალდებულებები	14,487	17,785	2,205
სულ წმინდა პოზიცია	(14,487)	(17,629)	17,765

შპს შარმ ტრედიდინგი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)
სავალუტო რისკი (გაგრძელება)

	31 დეკემბერი 2021		
	USD 1 = 3.0976 GEL	EUR 1 = 3.5040 GEL	AMD 1 = 0.0064 GEL
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	-	258	689
სავაჭრო მოთხოვნები	-	-	12,083
სულ ფინანსური აქტივები	-	258	12,928
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	10,178	12,723	1,598
სესხები	442		151
სულ ფინანსური ვალდებულებები	10,620	12,723	1,749
სულ წმინდა პოზიცია	(10,620)	(12,465)	11,179

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ჯგუფის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის 20%-ით გაძვირება/გაიაფების მიმართ 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზი ჩატარდა საანგარიშო დღეს შესაბამის ვალუტებში დენომინირებულ ფულად ერთეულებზე.

31.12.2022	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა		AMD ზეგავლენა	
	USD/GEL	USD/GEL	EUR/GEL	EUR/GEL	EUR/GEL	EUR/GEL
	20%	- 20%	20%	-20%	20%	-20%
მოგება/ზარალი						
გადასახადებამდე:	(2,897)	2,897	(3,526)	3,526	3,553	(3,553)

31.12.2021	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა		AMD ზეგავლენა	
	USD/GEL	USD/GEL	EUR/GEL	EUR/GEL	EUR/GEL	EUR/GEL
	20%	- 20%	20%	-20%	20%	-20%
მოგება/ზარალი						
გადასახადებამდე:	(2,124)	2,124	(2,493)	2,493	2,236	(2,236)

17. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება განისაზღვრა ჯგუფის მიერ, რომელმაც გამოიყენა ბაზარზე არსებული ინფორმაცია, მისი არსებობის შემთხვევაში, და შეფასების შესაბამისი მეთოდოლოგიები. თუმცა, საჭიროა განსჯის გამოყენება იმისათვის, რომ ინტერპრეტირებული იქნეს საბაზრო მონაცემები და განისაზღვროს შეფასებული რეალური ღირებულება. საქართველო კვლავ ამჟღავნებს ჩამოყალიბებადი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნის მახასიათებლებს და ეკონომიკური პირობებით კვლავ იზღუდება ფინანსურ ბაზრებზე აქტივობების მოცულობა. საბაზრო კოტირებები შესაძლოა მოძველებული იყოს, ან ასახავდეს იძულებითი გაყიდვის ოპერაციებს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას. ხელმძღვანელობამ გამოიყენა არსებული ყველა საბაზრო ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

შპს შარმ ტრედიდინგი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებიანი ინსტრუმენტების შეფასებული ღირებულება ეფუძნება მომავალში სავარაუდო ფულადი სახსრების ნაკადებს, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირების მეშვეობით, იმ ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე.

სავაჭრო და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს. ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები. ფიქსირებული დაფარვის ვადის მქონე მიღებული სესხების, აგრეთვე, იჯარიდან წარმოშობილი ვალდებულებების, სავარაუდო რეალური ღირებულება განისაზღვრა მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით იმ ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია.

18. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში ჯგუფის მიმართ მიმდინარეობს სასამართლო დავები და საჩივრები.

ორგანიზაციის მიმდინარე სასამართლო დავები მოიცავს შრომითი ხელშეკრულებებით წარმოქმნილ დავებს, რომლის ჯამური ღირებულება არა არსებითია და გავლენას არ ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციაზე.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტიორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;

(დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული დაკავშირებული მხარეები და მათთან განხორციელებული ოპერაციები მოიცავს ჯგუფის გარეთ განხორციელებულ ოპერაციებს, რომელთა ღირებულებაც შეადგენდა 86 ათასი ლარი. წამყვან მენეჯმენტზე ხელფასის სახით გაცემული იყო 386 ათასი და 413 ათასი ლარი 2022 და 2021 საანგარიშო წლის შესაბამისად.

შპს შარმ ტრედიინგი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

20. ბალანსის შემდგომი მოვლენები

ჯგუფის შვილობილი საწარმო სი ენდ ეფი ოპერირების სომხეთში. ბალანსის შემდგომ პერიოდში სომხეთში პოლიტიკური სიტუცია და აზერბაიჯანთან დაპირისპირება მნიშვნელოვნად გამწვავდა. აზერბაიჯანი-სომხეთის საზღვარზე პერიოდულად არის არეულობა და საომარი ქმედებები. აღნიშნული ვითარება გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე და ბიზნეს გარემოზეც, თუმცა მენეჯმენტის ინფორმაციის შვილობილი საწარმო უწყვეტად აგრძელებს ბაზარზე ოპერირებას და მნიშვნელოვანი რისკები ანგარიშების გამოცემის თარიღისათვის იდენტიფიცირებული არ არის.

შპს „შარმ ტრედინგი“
მმართველობითი ანგარიშგება
კონსოლიდირებული

შინაარსი

1. კომპანიის ბიზნესის განვითარება, საქმიანობის შედეგები და მდგომარეობა;
2. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები;
3. კომპანიის მიერ განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების მიმოხილვა;
4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ;
5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები;
6. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ;
7. დამატებითი განმარტებები წლიურ ფინანსურ ანგარიშგებში ასახული თანხების შესახებ
8. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ;
9. ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები, კომპანიის მიზანი და პოლიტიკა ფინანსური რისკის თვალსაზრისით.

1. კომპანიის ბიზნესის განვითარება, საქმიანობის შედეგები და მდგომარეობა;

შპს „შარმ ტრედინგი“-მა (შემდგომში „კომპანია“) 2000 წლიდან დაიწყო ბიზნეს ოპერირება და ერთერთი უმსხვილესი კომპანიაა დარგში საქართველოსა და სომხეთის ბაზარზე, რომლის სტრატეგიულ საქმიანობას წარმოადგენს საყოფაცხოვრებო, ჰიგიენის, პარფიუმერიისა და საკვები პროდუქციის იმპორტი და დისტრიბუცია. დღეისათვის შპს „შარმ ტრედინგი“-მ დასაქმებულია 381 თანამშრომელი (96 ქალი და 285 კაცი), ხოლო შარმ ჯგუფში მთლიანად დასაქმებულია 1034 თანამშრომელი (244 ქალი და 790 კაცი). კომპანიის ცენტრალური ოფისი მდებარეობს თბილისში. ბრენდების დაბალანსებული პორტფელი უზრუნველყოფს კომპანიის წარმოდგენას პრაქტიკულად ყველა აქტიურ სავაჭრო ობიექტში.

2022 წლის განმავლობაში შარმ ჯგუფში (შემდგომში „ჯგუფი“) შედიოდა შემდეგი კომპანიები:

შვილობილი საწარმო:

- შპს „ბი ემ სი შარმი“ 80% - კომპანია ახდენს სანტექნიკის იმპორტს და გაყიდვას თბილისისა და ბათუმის მაღაზია-სალონებიდან;
- შპს „გლობალ ტრეიდი“ 100% - სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსის მქონე ლოჯისტიკური კომპანია, რომლის ძირითადი საქმიანობაა პარფიუმერული, კოსმეტიკური, ჰიგიენისა და საყოფაცხოვრებო ქიმიის რეექსპორტი;
- შპს „სი ენდ ევი“ 75% - სადისტრიბუციო კომპანია სომხეთში, რომლის ძირითადი საქმიანობაა პარფიუმერულ-კოსმეტიკური, ჰიგიენის, საყოფაცხოვრებო ქიმიის, საკვები პროდუქტების იმპორტი და დისტრიბუცია.
- შპს „იალონი“ 100% - ლოჯისტიკური კომპანია, რომლის ძირითადი საქმიანობაა საოფისე და სასაწყობო, უძრავი ქონების გაქირავება.
- შპს „სმარტ ვეარჰაუსი“ 85.31% - რომლის ძირითადი საქმიანობაა საოფისე და სასაწყობო, უძრავი ქონების გაქირავება.
- შპს „აუთლეთ სერვისი“ 100% - სადისტრიბუციო კომპანია, რომლის შეძენა მოხდა 2021 წლის დეკემბერში და ფუნქციონირებს პერიოდულად.
- შპს „შაბა“ 50% - სადისტრიბუციო კომპანია, რომლის ძირითადი საქმიანობაა პარფიუმერულ-კოსმეტიკური, ჰიგიენის, საყოფაცხოვრებო ქიმიის, საკვები პროდუქტების იმპორტი და დისტრიბუცია. მისი 50% წილის შეძენა მოხდა 2021 წლის დეკემბერში შპს „აუთლეთ სერვისი“-ს მიერ.
- შპს „იუ ეს ჯი“ 100% და შპს „ეიჩ სი ი“ 100% - რომელთა დაფუძნება მოხდა 2021 წლის დეკემბერში და ჯერჯერობით საქმიანობას არ ახორციელებს.
- შპს „ქუთაისი ვეარჰაუსი“ 100% - რომლის ძირითადი საქმიანობაა საოფისე და სასაწყობო, უძრავი ქონების გაქირავება.
- სს „ლელო“ 50% - ლოჯისტიკური კომპანია, რომლის ძირითადი საქმიანობაა საოფისე და სასაწყობო, სავაჭრო ფართების მოწყობა, გაქირავება. ასევე მომხმარებელს სთავაზობს საბაჟო საწყობში ტვირთების მიღება გადამუშავების მომსახურებას.

მეკავშირე საწარმო:

- სს „ლილო 1“ 50% - საბაჟო და სასაწყობო ტერმინალი. ძირითადი საქმიანობაა საოფისე და სასაწყობო, სავაჭრო ფართების გაქირავება და საბაჟო ტერმინალის მომსახურება.

კომპანიის პორტფელში შემავალ სტრატეგიულ ბრენდებს მრავალწლიანი წარმატებული ისტორია აქვთ და იკავებენ სეგმენტების მნიშვნელოვან წილებს ზოგადად საერთაშორისო და მათ შორის საქართველოსა და სომხეთის ბაზარზე. თითოეული ამ ბრენდებიდან დიდი პოპულარობით სარგებლობს მომხმარებელში და ორიენტირებულია ძირითადად საშუალო საფასო სეგმენტზე, რაც ზრდის პორტფელის საერთო შემოსავლიანობას. კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს მარკეტინგის საკვანძო ფუნქციებს: ბრენდინგს, რესტაილინგის სიახლეებს, სხვადასხვა ტიპის პრომო აქტივობებს. თითოეულ ბრენდს გააჩნია მკაფიოდ გამოხატული საკუთარი ხასიათი და პოზიციონირება.

2022 წელს კომპანიის და ასევე ჯგუფის წლიური ბრუნვა გაიზარდა 15%-ით წინა წელთან მიმართებაში. მიუხედავად ათწლეულების განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე ცუდი მოვლენისა, რომელმაც გავლენა მოახდინა სადისტრიბუციო ინდუსტრიაზე, ჩვენი კომპანია განაგრძობდა ჩვეულ მუშაობას სოციალური დისტანცისა და დახურული კარების პირობებში. არსებული რეალობის გამო მწარმოებლებისა და იმპორტიორების ნაწილმა შექმნა საკუთარი ელექტრონული კომერციის არხები, რითაც კონკურენცია შეუქმნა სადისტრიბუციო მომსახურებას. ამის მიუხედავად კომპანიამ აქტუალური პორტფელის შენარჩუნებითა და განახლებით შეძლო რეალიზაციის გაზრდა.

საბოლოო მომხმარებლისათვის კვლავაც აქტუალურია საცხოვრებელთან ახლომდებარე მცირე და საშუალო ფორმატის სავაჭრო ობიექტები ანუ ჩვენი პროდუქციის საბოლოო მყიდველის ძირითადი ნაწილი ქსელური მაღაზიების მომხმარებელია. ამიტომ კომპანია ინვესტირებას აგრძელებს სხვადასხვა ტექნოლოგიებში, რათა უზრუნველყოს შეუფერხებელი შესყიდვის პროცესი თავიდან ბოლომდე. ასევე დანერგავს ინსტრუმენტებს, რომლებიც დაეხმარება თვალყური ადევნოს, გაიგოს და გააანალიზოს პარტნიორებთან ურთიერთქმედების თითოეული რგოლი, რათა მაქსიმალურად გააუმჯობესონ მათთან ურთიერთობა. ამიტომ B2B ურთიერთობებში მსხვილ ქსელურ პარტნიორებთან აქტუალურია თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, რაც ჩვენ დაგეხმარება დავაკმაყოფილოთ ნებისმიერი გამოწვევა..

2022 წელს კომპანიაში დასაქმებული იყო 381 თანამშრომელი (96 ქალი და 285 კაცი), ხოლო შვილობილ და დაკავშირებულ კომპანიებთან ერთად 1034 თანამშრომელი (244 ქალი და 790 კაცი).

2. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები;

ზოგადი აზრია, რომ რეცესიის დროს უმჯობესია ინვესტიცია მარაგებში. ჩვენ ვხედავთ სიტუაციის გარკვეულ გაუმჯობესებას, რამაც შეიძლება შეამსუბუქოს მიწოდების ჯაჭვისა და ლოჯისტიკის ზოგიერთი პრობლემური საკითხი, რომლებთანაც საქმე გვქონდა ბოლო ორი წლის განმავლობაში. მარაგები ხელახლა გახდება ხელმისაწვდომი და ლოჯისტიკური რგოლები თანდათან უბრუნდებიან ჩვეულ კალაპოტს. მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენ ასევე

მივდივართ გლობალური რეცესიისკენ. ამრიგად, დისტრიბუტორების ამოცანაა ბაზარზე მეტი მარაგებისა და ნაკლები ფულის დაბალანსება.

სადისტრიბუციო ინდუსტრიაში B2B ელექტრონული ვაჭრობის საკითხი ახალი არ არის, მაგრამ ის ნელა ვითარდება. გასთვალისწინებელია, რომ ეს ინდუსტრიისთვის უკიდურესად მომგებიანი შეიძლება იყოს. ამ გზით შესაძლებელია გავზარდოთ ბრენდის ცნობადობა, უპრობლემოდ მოვიზიდოთ ახალი მომხმარებლები და ავითვისოთ ახალი ბაზრები. ეს უზრუნველყოფს მომხმარებლების თვითმომსახურებას, ამცირებს საოპერაციო ხარჯებს (ზრდის მოგებას), ხოლო თანამშრომლებს საშუალებას აძლევს ფოკუსირება მოახდინონ ღირებული მომხმარებლების მომსახურებაზე. ძლიერი ანალიტიკა საშუალებას მოგვცემს მივიღოთ მომხმარებლისა და პროდუქტის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც დაგვეხმარება გავაუმჯობესოთ ჩვენი პროდუქტების პორტფელი და სერვისები. ჩვენ შეგვიძლია პერსონალიზებული B2B გამოცდილების ავტომატიზაცია, მათ შორის უაღრესად რელევანტური ჯვარედინი და დამატებითი გაყიდვები, რაც დაგვეხმარება გავხდეთ ერთი ფანჯრის მაღაზია (one-stop shop) თქვენი მომხმარებლის ყველა საჭიროებისთვის.

მრავალი სხვა ინდუსტრიის მსგავსად, დისტრიბუცია ებრძვის მუშახელის მუდმივ დეფიციტს. საწყობის მუშები, სატვირთო მანქანების მძღოლები უფრო ძნელად მოსაძებნია და კონკურენცია გაყიდვების მენეჯერისა და მომხმარებელთა დამხმარე პერსონალის სამუშაოებზე ძალიან ინტენსიურია. დისტრიბუტორებს შეიძლება გაუჭირდეთ მათთვის საჭირო ადამიანური რესურსების მოზიდვა, რადგან მუშები სულ უფრო მეტად ეძებენ ცნობილ, მიზანმიმართულ ბრენდებს. თანამშრომლების დაქირავება და შენარჩუნება პრიორიტეტი უნდა იყოს 2023 წელს. ამის გაკეთების ერთ-ერთი გზაა თანამშრომლების გამოცდილების გაუმჯობესება, დაწყებული თანამშრომლების მოსმენით, რათა მივიღოთ ინფორმაცია და გამოვავლინოთ გაუმჯობესების შესაძლებლობები. გავითვალისწინეთ მათი მოლოდინები სამსახურსა და პირადი ცხოვრების ბალანსზე და მოვძებნეთ გზები სამუშაო დღის ოპტიმიზაციისთვის:

- შევთავაზოთ თანამშრომლობის ინსტრუმენტები კომუნიკაციის ხელშესაწყობად.
- გამოვიყენოთ ჩაშენებული ანალიტიკა, მანქანური სწავლება და ავტომატიზაცია ხელით რუტინული ამოცანების წილის შესამცირებლად, მაგალითად როგორიცაა სისტემაში შეკვეთის შეყვანა.
- დავნერგოთ ისეთი ხელსაწყოები, როგორიცაა ჩეთბოტები ნაკლებად რთული შეკვეთებისათვის მომხმარებელთა მომსახურების მხარდასაჭერად
- როდესაც თანამშრომლები არ არიან ჩაფლული რუტინულ ამოცანებში, მათ შეუძლიათ ფოკუსირება მოახდინონ უფრო მაღალი ღირებულების აქტივობებზე, რაც მათ უფრო მეტ კმაყოფილებას ანიჭებს სამსახურში და მეტი მოგება მოაქვს კომპანიისთვის.
- ახალი კადრების მოსაზიდად, დისტრიბუტორებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ თავიანთი ბრენდის ღირებულების გაზრდაზე და თავიანთი სოციალური ძალისხმევის დემონსტრირებაზე. კომპანიის მთავარი ამოცანაა არა ხელფასების დაზოგვა, არამედ

ეფექტურად მუშაობა, ე.ი. შემოსავლის გაზრდა და შესაბამისად კატეგორიულად არასწორია „კადრებზე ეკონომია“, ასევე არასწორია პერსონალისათვის ანაზღაურების მიცემა გამოუმუშავებელ ნორმაში მაშინაც კი, თუ რაიმე სასწაულებრივი გზით შესაძლებელი იყო პერსონალის იძულება ემუშავა ნორმაზე მაღლა, გარკვეული პერიოდის შემდეგ ნებისმიერი წახალისება ხდება არაეფექტური ფიზიკური დაღლილობის გამო. ამიტომ ეფექტური მენეჯმენტისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პერსონალის ეფექტური დასაქმება, არამედ მისი ნორმირებული დასვენება.

○ სასაქონლო პორტფელი

ბევრი კომპანია გაყიდვების გაზრდის მიზნით პრაის-ლისტს 15-25%-ით ამრავალფეროვნებს. თუმცა ასორტიმენტის ზრდა 50/50-ზე ალბათობით ზრდის შემოსავლებს, არალიკვიდურ და სასაქონლო მარაგებს კი გარანტირებულად ზრდის. ამიტომ არალიკვიდური საქონლის მარაგების შესამცირებლად ხდება აქციების დაგეგმვა სპეცფასების პირობებში. შედეგად ვიღებთ დაბალი მარჟინალობის მიწოდებებს, პროდუქციის დაბრუნების მაღალი რისკითა და სავაჭრო ობიექტების მხრიდან კომპანიისადმი ლოიალურობის შემცირებას.

○ ფასი

ფასებით მართვა ძირითადად ხდება არა თაროზე, არამედ სავაჭრო ობიექტზე შესვლისას, ვინ უფრო იაფად შეიტანს ჩვენ თუ კონკურენტი, ან რამდენს „დაგვათმობინებს“ რითელი. ასე რომ, საბოლოო ჯამში თაროზე ფასი პრაქტიკულად არ იცვლება, გაყიდვები არ იზრდება, ე.ი. მცირდება ერთობლივი შემოსავალი და სარგებელს ნახულობს რითელი - იგივე გაყიდვები უფრო მაღალი მარჟით.

○ ტრეიდ-მარკეტინგი

დღესდღეობით ტრეიდ-მარკეტინგული აქტივობების 95% მიმართულია საფასო აქციებზე. თუ ჩვენ ჩავერთვებით ამ პროცესში, მნიშვნელოვანია გავაკეთოთ შემდეგი გათვლა: რამდენად უნდა გავზარდოთ გაყიდვები, რომ გაიზარდოს ერთობლივი შემოსავალი. მარტივი მაგალითისათვის - ერთობლივი შემოსავლის 10%-ნი ზრდისათვის საჭიროა 15% -იანი მარჟინალობის პროდუქციის (აქციით „5+1“) თითქმის 5-ჯერადი გაზრდა. MROI (მარკეტინგში ინვესტიციის დაბრუნების კოეფიციენტი) — არის RGM მენეჯმენტის საკვანძო პარამეტრი ტრეიდ-მარკეტინგის აქტივობის მართვის საკითხში.

3. კომპანიის მიერ განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების მიმოხილვა;

2022 წლის განმავლობაში კომპანია არ ყოფილა ჩართული რაიმე სახის კვლევებისა და განვითარების აქტივობაში.

4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ;


კომპანია წარმოდგენილია მთელი საქართველოს მასშტაბით შემდეგ ქალაქებში და მისამართებზე:

ქ.თბილისი	ქსნის ქუჩა N36
ქ.თბილისი	აღმაშენებლის ხეივანი მე-6 კმ, ანდრონიკაშვილის 6
ქ.ბათუმი	გენერალ ასლან აბაშიძის N18
ქ.ქუთაისი	9 აპრილის მეორე ჩიხი
ქ.გორი	სუხიშვილის N26
ქ.თელავი	თბილისის გზატკეცილი N2
ქ.ახალციხე	თამარაშვილი N4ა


5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები;

ძირითადი ოპერაციული მაჩვენებლები


შპს „შარმ ტრედინგი“





ამონაგები კატეგორიების მიხედვით შპს "შარმ ტრეიდიנגი" (%)



ამონაგები კატეგორიების მიხედვით შარმ ჯგუფი (%)



შემოსავლიანობის ძირითადი მაჩვენებლები



კომპანია თვლის, რომ მას აქვს ყველა ის რესურსი, რომელიც აუცილებელია, რომ განაგრძოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადი საწარმო. ეს გარემოება დაადასტურა განვლილმა პერიოდმა, რადგან კომპანია (და მასთან აფილირებული პირები) ფუნქციონირებს ისეთ ბიზნესში, რომელიც საკმაოდ მაღალი მოთხოვნადობით ხასიათდება სამომხმარებლო ბაზარზე. ასეთ ინტენსიურ კონკურენტულ ბაზარზე დისტრიბუტორები ვერ იქნებიან უმოქმედოდ. ჩვენ უნდა მოვძებნოთ ღირებულების გაზრდის გზები რომ ვიყოთ კონკურენტულები, რაც აყალიბებს ინოვაციებს B2B-ს 2023 წლის მთავარ ტენდენციად.

ჩვენი აზრით არსებობს ოთხი ძირითადი გზა, რათა დავაკმაყოფილოთ მომხმარებლის ცვალებადი მოთხოვნილებები და მოვიპოვოთ კონკურენტული უპირატესობა:

- ხარისხიანი სერვისების შეთავაზება – სტანდარტული პროდუქტების კატალოგი აღარაა საკმარისად ეფექტური. ჩვენ უნდა შევთავაზოთ პარტნიორებს პროდუქტებთან დაკავშირებული მომსახურება მათი საჭიროების შესაბამისად. მაგალითად: დაკომპლექტება, წინასწარ შეგროვება, შეფუთვა და IT სერვისები, როგორცაა ვებ დიზაინი.
- მიწოდების პროცესის გაუმჯობესება. ციფრული არხების დამატებით, საწყობისა და ლოგისტიკური ოპერაციების ოპტიმიზაციის გზით, ჩვენ უნდა შევძლოთ უზრუნველყოთ ის სიჩქარე და კომფორტი, რასაც დღეს მომხმარებლები მოელოდნენ.
- გახვდეთ სანდო მრჩეველები – ჩვენმა წარმომადგენლებმა უნდა ითანამშრომლონ თავიანთ კლიენტებთან პროექტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში.
- ბიზნეს ოპერაციების გამარტივება – ავტომატიზაციისა და ჰიბრიდული ტექნოლოგიის გამოყენებით, ჩვენ უნდა შევძლოთ შეავსოთ ხელით შესასრულებელი ამოცანები ეფექტურობის გასაუმჯობესებლად.

6. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ;

კომპანიას არ გააჩნია საკუთარი აქციები.

7. დამატებითი განმარტებები წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებში ასახული თანხების შესახებ

2022 წელს კომპანიამ დაასრულა სასაწყობო კომპლექსების ავტომატიზაციის (საწყობების მართვის სისტემები - Warehouse Management Systems - WMS) პროგრამების Corax-ისა და AXELOT-ის დანერგვა-გამართვა. ვფიქრობთ, რომ 2023 წლის ტრენდი იქნება რაც შეიძლება მეტი ბიზნეს პროცესის ავტომატიზაცია; ეს დაგეგმვარება მივაღწიოთ უფრო მეტ ეფექტურობას, სიჩქარეს და სიზუსტეს, ვიყოთ უფრო პროაქტიულები ჩვენი მიზნების მიღწევაში და მოქნილები გამოწვევების წინაშე. საჭირო ტექნოლოგიაში ინვესტირების სარგებელი მრავალია:

- შრომატევადი და შეცდომებისადმი მიდრეკილი ამოცანების ავტომატიზაცია (შედეგად მიიღება მეტი სიზუსტე, დაბალი ოპერაციული ხარჯები და მეტი დრო რჩება უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე ფოკუსირებისთვის)
- გაუმჯობესებული ხილვადობა (პროცესების, რესურსების, ხარჯების, ფასების და მომხმარებლის ქცევა)

- უფრო ჰკვირავს ბიზნეს გადაწყვეტილებები (ხელოვნური ინტელექტისა და მანქანური ცოდნის წყალობით დიდი რაოდენობით შიდა და გარე მონაცემების დამუშავების შემდეგ)
- მომხმარებლის მომსახურების უკეთესი ხარისხი (რადგან შეკვეთები და გადახდები უფრო მოსახერხებელია, გამოცდილება პერსონალიზებულია და კონკრეტული კლიენტებისთვის ზუსტი შეთავაზებები ბევრად უფრო სწრაფია)
- ორგანიზაციული მუშაობის წარმადობის, მოქნილობისა და სისწრაფის გაუმჯობესება (რაც ზრდის ჩვენს მზაობას და შესაძლებლობას დავძლიოთ ყველაფერი ჩვენს გზაზე)

8. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ;

კომპანია თავისი საქმიანობის პროცესში შეიძლება აღმოჩნდეს პოტენციური რისკების წინაშე, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ მის ფინანსურ შედეგებზე და ამგვარად ხელი შეუშალოს სტრატეგიული ამოცანების დაგეგმილ დროში მიღწევას. ამიტომ კომპანიამ შეიმუშავა რისკების შემცირებისათვის აუცილებელი ზომები:

1. კომპანიის (ჯგუფის) ფინანსური სტაბილურობის გაზრდა
2. კომპანიის (ჯგუფის) ღირებულების დაკარგვის შესაძლებლობის შემცირება
3. დამფუძნებლების მიერ საკვანძო რისკების კონტროლი და მართვა
4. კომპანიის (ჯგუფის) ოპერაციების სტაბილურობის უზრუნველყოფა

კომპანია რისკების მინიმიზაციის მიზნით სისტემატურად აკონტროლებს თავისი საქმიანობის ძირითად მიმართულებებსა და ბაზარზე არსებულ მდგომარეობას. კომპანია დგამს მნიშვნელოვან ნაბიჯებს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმიზაციის, ლოგისტიკური მართვის სისტემის სრულყოფის, მარკეტინგული აქტივობების ეფექტურობის გაზრდის, მოქნილი საფასო პოლიტიკის შემუშავების, ახალი ბრენდების მოზიდვის მიზნით.

კომპანია (ჯგუფი) განიხილავს პოტენციურ რისკებს ოთხი მიმართულებით:

1. საბაზრო და მაკროეკონომიკური - კომპანიის საქმიანობის სფეროში კონკურენცია მაღალია, რასაც განაპირობებს არა მარტო მსგავსი დანიშნულების პროდუქციის, არამედ მეზობელი ქვეყნების ბაზრებისათვის განკუთვნილი ადგილობრივი წარმოების ანალოგიური ბრენდების პროდუქციის შეთავაზება მომხმარებლისათვის კონკურენტულ ფასებში. კომპანია ამ გამოწვევას სხვადასხვა ტიპის პერმანენტულ მარკეტინგულ აქციებს უპირისპირებს.

2. ფინანსური - ამ მიმართულებითაც კომპანიის რისკები მინიმალურია, რადგან მოზიდული საბანკო სახსრები ლარშია აღებული საბაზრო მინიმალური პროცენტის პირობებში. ამიტომ ლარი/დოლარი/ევროს ფარდობის მცირე ვოლატილობის კოეფიციენტი კრედიტორული დავალიანების დაფარვისათვის მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენს.
3. იურიდიული/ფისკალური - გადასახადების (საბაჟო, შემოსავლების სამსახური) სტაბილურობა და განჭვრეტადობა საშუალო ვადიან პერსპექტივაში, სსკ-ს ახალი „ესტონური“ მოდელის პირობებში, ასევე რისკების მინიმიზაციის ფაქტორია.
4. ოპერაციული - კომპანიას თავისი შეთავაზების პორტფელში აქვს მომხმარებლისათვის კარგად ცნობადი და მაღალი რეპუტაციის მქონე ბრენდები, რომელიც ძირითადად ყველაზე დიდ - საშუალო საფასო სეგმენტს მოიცავს და გამოირჩევა პროდუქციის ხარისხისა და ფასის ოპტიმალური თანაფარდობით/პარიტეტით. ამიტომ, დიდი კონკურენციის მიუხედავად, გააზრებული და სწორად დაგეგმილი სტრატეგიის პირობებში, რომელიც პირველ რიგში მაღალკვალიფიციურ პერსონალსა და გამართულ ლოჯისტიკას ეყრდნობა, ოპერაციული რისკები მინიმალურია.